Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

UNDP

სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემა (AKIS)

სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემა (Agricultural Knowledge and Inovation System (AKIS)) წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს სოფლად და სოფლის მეურნეობაში ცოდნისა და ინოვაციების მიწოდებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული თითოეული მონაწილისა და მათი ურთიერთკავშირების გაძლიერებას.

AKIS არის ევროკავშირის მთავარი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (The Common Agricultural Policy (CAP)) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის მთავარი მომხმარებელი არის ფერმერი ან მასთან დაკავშირებული პირი, ხოლო მთავარი დანიშნულებაა, რომ მომხმარებელმა მიიღოს მეტი ცოდნა, ინოვაციები და შესაბამისად აწარმოოს მეტი, უკეთესი ხარისხისა და ეკომეგობრული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

საქართველოში ეროვნული სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემები (GEO AKIS)

საქართველოს AKIS უნდა იძლეოდეს იგივე შესაძლებლობებს, რასაც AKIS ევროკავშირში. იგი მოიაზრებს სოფლად ცოდნის გავრცელებასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე წვდომის მექანიზმების განვითარებას. **საქართველოს AKIS სისტემა გააერთიანებს ფერმერებს, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სპეციალისტებს, კონსულტანტებს, მკვლევარებს, საგანმანათლებლო და კვლევით ინსტიტუციებს, სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორს და სხვა ჩართულ მხარეებს, რომლებიც სხვადასხვა წყაროებიდან შესაბამისი ცოდნით აღჭურვილნი უზრუნველყოფენ გაუმჯობესებულ სოფლის მეურნეობასა და უკეთეს საარსებო საშუალებებს.**

საქართველოს AKIS დაფარავს ქვეყნის მთელ ტერიტორიას და შექმნის საერთო ეროვნულ სისტემას. ამავე დროს, ეროვნულ პლატფორმაზე დაყრდნობით შესაძლებელია შემუშავდეს ადგილობრივი (რეგიონული) სისტემები, მიკრო AKIS-ები, რომლებიც ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ეროვნული სისტემის ძირითად პრიორიტეტებს განავრცობენ კონკრეტულ ადგილებზე.



სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინფორმაციის ქართული სისტემის გეოგრაფიული ინტერაქტიული რუკა

ევროკავშირის საერთო აგრარული პოლიტიკის ქსელი და AKIS

კვლევისა და ექსტენციის მომსახურება და ექსტენციის სერვისების გაძლიერება ევროპის კავშირში 1970-1980-იანი წლებიდან იწყება. აღნიშნული ინიციატივა სხვადასხვა პროგრამით ხორციელდებოდა, რომლებიც ძირითადად მიმართული იყო სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისაკენ. ევროკავშირის საერთო აგრარულმა პოლიტიკამ (CAP) განიცადა მნიშვნელოვანი რეფორმები 1990-იან და 2000-იანი წლებიდან და სწორედ ამ დროს ხდება სოფლის მეურნეობის ცოდნისა და ინფორმაციის სისტემის შემუშავება და ამ პერიოდიდან ექცევა განსაკუთრებული ყურადღება გარემოსდაცვით მიმართულებებსა და სოფლის განვითარებას (Rural Development (RD)), სადაც მნიშვნელოვანი როლი აქვს ადგილობრივ ინიციატივებსა და ინოვაციებს.

1980 წლიდან ევროკავშირში შეიქმნა აგრარული ცოდნის სისტემა (Agriculture Knowledge System (AKS)), რომელიც ძირითადად ცოდნის გენერირებასა და გამოყენებაზეა ორიენტირებული. 1990 წლიდან აღნიშნული სისტემის მნიშვნელობა გაფართოვდა, მას დაემატა აგრარული ინფორმაცია, რის შედეგადაც მიღებულ იქნა აგრარული ცოდნისა და ინფორმაციების სისტემა (Agriculture Knowledge and Information System (AKIS)). 90-იანი წლების ბოლოს დამოუკიდებლად დაფუძნდა ახალი - აგრარული ინოვაციების სისტემა (Agricultural Innovation System (AIS)), რომელსაც განსხვავებული ამოცანები ჰქონდა, თუმცა მთლიანობაში შეესაბამებოდა არსებული AKIS-ის ძირითად მიზნებს. შესაბამისად, 2012 წლიდან AIS შეუერთდა არსებულ AKIS-ს, სადაც სიტყვა ინფორმაცია ჩაანაცვლა ინოვაციამ და ამის შემდგომ იწყება თანამედროვე AKIS ჩამოყალიბება და განვითარება.

AKIS განვითარების მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტრუმენტები

AKIS განვითარების მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტრუმენტებია ევროკავშირის საერთო აგრარული პოლიტიკის ქსელი (CAP Network), მის ფარგლებში მოქმედი ევროპის ინოვაციების თანამშრომლობა (EIP) და სხვა კვლევისა და ინოვაციების განვითარების პროგრამები: EIP-ის ფარგლებში მოქმედი ჰორიზონტი 2020, ამჟამად ჰორიზონტ ევროპა, აგრეთვე გაციფრულება და ქკვიანი მეურნეობა, ციფრული დღის წესრიგი ევროპისთვის, ფერმიდან სუფრამდე (Farm to Fork) სტრატეგია და სხვა.

AKIS-ის განვითარება ევროკავშირში განვითარებადი პროცესია და ის გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე და სოციალურ ფაქტორებზე. აღნიშნული კონცეფცია ევროკავშირში უკვე ძალიან კარგად მუშაობს. შესაბამისი ევრო რეგულაციებითა და საერთო აგრარული პოლიტიკის 2023-2027 წლის დოკუმენტით, წევრი ქვეყნები წახალისებულნი არიან შექმნან და მუდმივად გააუმჯობესონ სოფლად ცოდნისა და ინოვაციების გავრცელების სისტემები, რათა გაიზარდოს ცოდნა და გაძლიერდეს კავშირები კვლევასა და პრაქტიკას შორის.

საინფორმაციო მასალა მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით პროექტის „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში VET (ფაზა3)“ ფარგლებში.

eiec.gov.ge

info@eiec.gov.ge

+995 32 2112023

მარშალ გელოვანის გამზ. N32გ,
თბილისი 0159 საქართველო